ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СОЮЗ СОВЕТСКИХ СОЦИАЛИСТИЧЕСКИХ РЕСПУБЛИК

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 215 (19857) ◆ ოთხშაბათი, 18 სექტემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 4 კაპ.

კომკავშირი: მებრძოლურობის დათვალიერება

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციაში დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს ანგარიშვება-არჩევნები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებში რესპუბლიკის 8.500-ზე მეტ პირველად, 26 ათას საჭირო ორგანიზაციასა და 13 ათას კომკავშირულ ჯგუფში მოწყობა და მთლიანად ნოემბრის ბოლოსათვის დამთავრდება.

როგორია წლევანდელი საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის თავისებურებანი, რა ძირითადი ნიშნით უნდა ჩაიაროს მან? დღეს რესპუბლიკის კომკავშირის და ახალგაზრდობის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და საქმიანობის განმსაზღვრელია XXVII ყრილობის ლირსეულად შეხვედრისათვის მზადება. „ბოლშევიკის მთავარი ლოზუნგები, — ხაზგასმით აღინიშნა XXVII ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე, — რომლებიც უნდა გახდეს ჩვენი ყრილობისწინა კრებების, პარტიის XXVII ყრილობისათვის მთელი მზადების ლაიტმოტივი, არის შემოქმედებითი შრომა, სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ინიციატივა და პასუხისმგებლობა, მოშინაოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი“.

როგორც დღემდე უკვე გამჟღავნდა, პირველი კრებების ანალიზმა აჩვენა, კომკავშირელები მეტად პრინციპულად, მოურიდებლად და პირდაპირად აკრიტიკებენ ამ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებს, გულახდილად ბჭობენ იმ საჭირბოროტო საკითხებზე, რომლებსაც ცხოვრება ყოველდღიურად უყენებს თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციას, ჩვენს ახალგაზრდობას. მიმდინარე კრებებზე ისევე ცხადი გახდა, რომ სწორედ ის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციები გამოირჩევიან თავიანთი ინიციატივით, შემოქმედებითი ძიებით და აქტიურობით, სადაც მაღალ დონეზეა პარტიული ხელმძღვანელობა — კომკავშირის ძლიერების ეს მთავარი წყარო. კომუნისტი თავიზი უმეროსი ამხანაგის შრომისა და ყოფაცხოვრების პირო შორიდან შეთვალეყურე კი არ არის, არამედ მისი გულწრფელი მრჩეველი და აღმზრდელი, გამოცდილების გაზიარებელი, აქტიური დამხმარეა. სწორედ ეს მომენტი განაპირობებს, რომ მეტად მაღალ დონეზე წარიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები თბილისის საავიაციო, რუსთავის მეტალურგიული რარსებების, აგრეთვე ზოგიერთ სხვა საწარმოთა და მეურნეობათა ბევრ კომკავშირულ ჯგუფში. მაგრამ ამასთანავე ისიც უნდა თქვათ, რომ ზოგიერთი კომკავშირული . ორგანიზაციის მუშაობაში ამჟამად ჩანს უინიციატივობა, გაუბედაობა, წვრილმანება ვატაცება. მოკლედ, არ იყრძნობა საჭირო ახალგაზრდული მებრძოლობა და შემართება. ამიტომ ასეთი კომკავშირული კოლექტივებისადმი მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინონ ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, მიიღწიონ, რომ თითოეულმა კომკავშირულმა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ჩაიაროს გულწრფელი კრიტიკის და თვითკრიტიკის, პრინციპული ურთიერთმოთხოვნელობის ნიშნით. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ ნაკლოვანებებსა და კრიტიკულ შენიშვნებს, რომლებიც წინა საანგარიშო-საარჩევნო კრებებზეც გამოთქვა და აისახა ოქმებში. შესრულების შედეგად შეიოწმება და კონკრეტული კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის სტილის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშნა უნდა იყოს. უთქვეთ არაფერი არ უნდა დარჩეს: გამოსწორდა თუ არა ნაკლოვანებანი, ვის უნდა გამოესწორებინა, ვინ იყო კონკრეტული პასუხისმგებელი შესრულებისათვის, და თუ არ გამოსწორებულა დღემდე, რატომ და ვისი მიზეზით!

ეუშან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიუთრთ განხილა საკითხი, „როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIX პლენუმის გადაწყვეტილება „კომკავშირის საბჭოებში ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესებისა და ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში მისი როლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ამოცანების თაობაზე“. ბიუროს სხდომაზე მკაცრად აღინიშნა, რომ ზოგიერთი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციის სუსტად, უინიციატივოდ მუშაობს ამ დადგენილებათა შესასრულებლად. დასაბამი არ არის, რომ კომკავშირული ორგანიზაციები ზოგჯერ მეტისმეტად გადაჭარბებული სტატისტიკით და ანგარიშიანობით, იმის დაზუსტებით, თუ საგრძნო მიღწევებში რამდენი პროცენტი მოდის კომკავშირელებსა და ახალგაზრდობაზე. ამის მიღმა კი იჩქმალება უმოვარესი — ახალგაზრდობის ხელოვნი აღზრდა, იდეურ-პოლიტიკური წრთობა, მისი აქტიური პოზიციის ჩამოყალიბებისათვის საჭირო კონკრეტული საქმიანობა.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა და კომკავშირულმა კომიტეტებმა, პირველადმა ორგანიზაციებმა დროული და საჭირო დახმარება უნდა გამოიჩინონ ამ პრინციპული კრიტიკიდან და საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე საქმიანად იმსჯელონ იმაზე, რომ ყველგან განადგურდეს ნამდვილი პრაქტიკული, შემოქმედებითი მუშაობა და ალეკეთის ფორმალიზმი, ხმაური, მოწყენებითობა.

პირველად უნდა ითქვას — მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანები ეკისრებათ განსახილველი სოფლის კომკავშირულ ორგანიზაციებს. მათ მთავარი ყურადღება უნდა დაუთმონ იმ დებულებებსა და დასკვნებს, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა ამ დღეებში ტულაში ოფლინოგრადში გამოსახლისას აგროსამრეწველო წარმოების ინტენსიფიკაციის პრობლემებთან დაკავშირებით.

რა თქმა უნდა, საანგარიშო-საარჩევნო კომკავშირულ კრებებზე ყურადღებით უნდა განხილონ პროფესიულ-ტექნიკური და საშუალოგანმავლობის სასწავლებლების კომკავშირულ ორგანიზაციათა წინაშე მდგომი ამოცანები სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების კვალიფიციური სპეციალისტებით უზრუნველყოფის საქმეში. თანდათან ხორცს ისხამს სასოელი რეფორმა. კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის ერთ-ერთ ქკაკუთხედად რჩება მწარმოებელურ შრომაში ზოგადსაგანმანათლებელი ს

პარტიული ცხოვრება:

მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტამ შარშანდელი სამეფნეო წელი შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრა — მომხმარებელს გეგმის გადაჭარბებით გაუგზავნა 18 ათას ტონამდე საკოქსე ქვანახშირი. მაღალი ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ბრძოლა აქ წარმატებით გრძელდება. შახტის კოლექტივმა წლიურს შედგ თვენ 8.400 ტონაზე მეტი ზეგეგმითი ქვანახშირი ამოიღო. სამთოელები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ნაკისრ ვალდებულებასაც. ახლა შახტს თითოეული ტონა ქვანახშირი გათვალისწინებულთან შედარებით 27 კაპეკით იაფი უჯდება. მარტო ამ გზით 80 ათას მანეთზე მეტი დაიზოგა. სხვებთან ერთად მთელი წლის მანძილზე ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის დაუღალავად იბრძოდნენ სამარაჯიღერო სამსახურის მუშაკები, შახტის ამ ერთ-ერთი წამყვანი განყოფილების პარტიული ჯგუფის წევრები.

საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე, რომელსაც პარტჯგუფის ყველა წევრი დაესწრო, სამარაჯიღერო განყოფილების პარტჯგუფორგმა, სამთო მუშამ ბ. ხოლომენკომ ვრცელად ილაპარაკა წარმატებებზე.

მაჩვენებლები კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, თქვეს პარტჯგუფის წევრებმა, პროდუქციის ხარისხის გაუჯობესების თაობაზე მიღებულ დადგენილებას რომ არ ვივიწყებდეთ, სამარაჯიღერო განყოფილების ყველა თანამშრომელი, მით უმეტეს კომუნისტები, ჯეროვანი პრინციპულობით რომ ებრძოდეთ წუნისმკეთებლებს...

ამ საკითხზე შარშან საანგარიშო-საარჩევნო კრებაზეც იყო ცხარე კამათი, მიიღეს დადგენილება, მაგრამ მის შესასრულებლად ბევრი არაფერი გაკეთებულა. ამიტომ მდგომარეობაც არ გაუმჯობესდა.

ამის საილუსტრაციოდ მომხსენებელმა მოიყვანა ასეთი ფაქტი: მარტო მიმდინარე წლის პირველ ნახევარში შახტმა გამოუშვა 14.145 ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი. შარშან კი ეს მაჩვენებელი 15.226 ტონას შეადგენდა. როგორც ჩანს, მდგომარეობა წელს არ გუმჯობესებულა. ნაცარუზი ქვანახშირის ამოღებით შახტი კვლავ ზარალობს. მომხმარებელმა — ქვანახშირის მამდიდრებელმა ფაბრიკამ უარი უთხრა შახტს დიდი რაოდენობის ნაცარუზი ქვანახშირის ღირებულების გადახდაზე.

საექსპლოატაციო უბნები ზოგჯერ არ იცავენ მონგრეული ქვანახშირის სისუფთის შემცველობის დასაშვებ ნორმებს, რაც დიდად აუარესებს პროდუქციის ხარისხს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის შარშან შახტი 119 ათასი მანეთით დაჯარიმდა, წელს კი ამ მაჩვენებელმა 88.718 მანეთი შეადგინა. ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, მომხსენებელს კონკრეტულად დაესახელებინა წუნისმკეთებლები. სამწუხაროდ, იგი ზოგად ფრაზებს დასჯერდა. როგორც ჩანს, აქ თავს არიდებენ მწვავე კრიტიკას. ამ პარტიული ჯგუფის საანგარიშო-საარჩევნო კრება შარშანაც გაუფადა და მომხსენებელს გაზეთის სიშეალებით უსაყვედურეს, რომ თავს არიდებს კრიტიკას, მაგრამ ბ. ხოლომენკოს დასკვნა მაინც არ გამოუტანია — წელსაც იგივე გამიმეორა. მისი აზლანდელი საანგარიშო მოხსენებაც შარშანდელი-ზე ოთხგვერდიანი ტექსტია. ამ ორ-ოთხ გვერდზე ბევრ ფაქტს ვერ ეტევა. ეს ფაქტებიც ... ეტევა. ... ეს ... ...

თეორიის საკითხები — ეკონომიკური ტერმინოლოგიისათვის

ᲩᲔᲜᲘᲗ ახლა რუსულ «Общественное мнение»-ს თარგმნიან როგორც „**საზოგადოებრივ აზრს**“, რაც, ეტყობა, ჯერჯერობით დოუკვირვებლობის შედეგია.

საქმე ის არის, რომ ქართულ „**საზოგადოებრივ აზრს**“ სინამდვილეში შეესატყვისება რუს. „**Общественная МЫСЛЬ**». Мысль — აზრი, мышление — აზროვნება. ასეა ყველა თანამედროვე ლექსიკონშიც. ამასთანავე გერმანელ Denken-ს, ინგლისურ Thought-ს შეესატყვისება რუსულ **мысль** და ქართული **აზრი**.

რაც შეეხება რუსულ мнение-ს (გერმ. meinung, ინგლ., ფრანგ. ფაბსპ. opinion, იტალ. opinione), იგი სულ სხვა შინაარსის მატარებელია და, თუ ყოველთვის არა, უფრო ხშირად მაინც შეესატყვისება ქართულ **შეხედულებას**.

ამიტომაც, ჩვენ ეფიქრობთ — ზუსტად ბუნებრივი იქნება мнение-ს ქართულ შესატყვისად დავიგულნოთ (მიეიღოთ): **შეხედულება**.

აქ ისიც აღსანიშნავია, რომ мнение არსებითად იდეუტერია სიტყვებისა **взгляд, усмотрение** და განსხვავდება პოზიტიური ცოდნისაგან (знание-საგან). ამ მხრივ მნიშვნელოვანია ფრიად გავრცელებული რუსული ანდაზა: Там, где кончается знание, начинается мнение—იქ, სადაც თავდება ცოდნა, იწყება შეხედულება.

ქართულ სალაპარაკო და ლიტერატურულ ენაში ფლიდი „**აზრი**“ და „**შეხედულება**“ ზოგჯერ იდენტურია და სინონიმებია; ხოლო **მეცნიერულ ტერმინოლოგიაში** „ეკონომიკური აზრის“ ეკვივალენტურია რუს. „**Экономическая мысль**». 1941 წ. გამოცემული „ქართული ეფრნალისტიკის“ პირველი ტომის ქვესათაურს, „**საზოგადოებრივ აზრის** ისტორიისათვის“, შეესატყვისება რუს. «**К истории общественной МЫСЛИ**“...

ხოლო „**აზრსა**“ და „**შეხედულებას**“ (როგორც **ტერმინებს შორის**, არსებითი ხასიათის განსხვავებაა, „**შეხედულება**“ საერთოდ საკმაოდ დაუსაბუთებელი ცოდნაა, რაც ოფიციალურად არ არის აღიარებული და, მაშასადამე არც აპრობირული, ხოლო „**აზრი**“ უკვე მოცემული მსჯელობის, აზროვნების პროცესის პროდუქტისა და ცნების სახით. ადამიანს **აზრს**, ვ. ი. ლენინის სიტყვებით, ის თვისება ახასიათებს, რომ იგი „უსასრულოდ ღრმავდება მოვლენისადან არსობისაკენ, რომ იგი მარად განვითარებაშია. აზროვნება ადამიანის შემეცნებაში ნივთთა და მოვლენათა ასახვის საშალებაა, ობიექტური სინამდვილის შეცნობისა და მისი გარდაქმნის პროცესის უმაღლესი საფეხურია (იხ. ორს. ფილოსოფიური ტერმინოლოგიები).

უეჭველია, რომ რუს. Мысль-ს ქართულად შეესატყვისება **აზრი**, ხოლო мнение-ს საუკეთესო ეკვივალენტი იქნება **შეხედულება**.

ასე რომ, შემოხსენებული შემთხვევაში მართებული იქნება ითქმოდეს და — არა „**საზოგადოებრივ აზრზე**“, ოღონ „**საზოგადოებრივ შეხედულებაზე**“ ან „**ეროვნულ შეხედულებაზე**“ ...

ᲐᲮᲚᲐ, რომ ამ ტერმინებს „**ეროვნული**“ ... „**ეროვნული**“ ... „**ეროვნული**“ ...



რა გაანძი გვქონია!..

ციხიაგორა

ქვლავაც

გვანცვიფრებს

1988 წლის 4 ოქტომბერს „კომუნისტი“ იუწყებოდა, რომ „კახეთის რაიონში, სოფელ კავთისხევთან, მდინარე კავთურას მარცხენა ნაპირზე, ეკრეთ წოდებულ ციხიაგორაზე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის რაიონის ექსპედიციამ უიშვიათეს არქეოლოგიურ ძეგლს მიაკვლია - ადმოჩინეს დიდებული სატაძრო კომპლექსი, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნით თარიღდება.

ტაძრის კომპლექსის ტერიტორიაზე აღმოჩენილმა ოქროსა და ვერცხლის ნივთებმა, ტაძრის კუთვნილმა ნისკვილმა და სათოლეებმა, სხვა საყოფაცხოვრები ნაგებობებმა, მართლაც რომ, ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

თან ისაც ვიუწყებოდით, არქეოლოგიური გათხრები გრძელდებიან...

და აი, ამ დღეებში კვლავ გვაიხმო ციხიაგორამ. გვიხმო, რათა კიდევ ერთი დიდებული აღმოჩენით გამეცვიფრებინეთ...

გ. ცქიტიშვილი — არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი: ჯერ კიდევ ამ ოროოდე წლის წინ, სატაძრო კომპლექსის გათხრებისას, გამოვქვეთ ვარაუდი, რომ კომპლექსში მევენახეობა-მეღვინეობა კულტის დამადასტურებელი არქეოლოგიური მასალაც აღმოჩნდებოდა. მევენახეობა რომ იმ დროის საქართველოში დიდად განვითარებული ყოფილა, ამაზე სხვა არქეოლოგიური მასალებიც მიგვანიშნებენ.

და მართლაც, ტაძრის დასავლეთით, გათხრებისას არქეოლოგიური ექსპედიცია შიხს ზედაპირიდან სამი მეტრის სიღრმეზე წაადწყდა საკმაოდ დიდი ზომის ნაგებობის ნაშთებს. შემდგომმა გათხრებმა საბოლოოდ გაფანტა ყველა ეჭვი — არქეოლოგები მარანში აღმოჩნდნენ.

— რას წარმოადგენს, როგორც თქვენ ბრძანეთ, საქართველოს ისტორიაში უძველესი და ყველა სამარნე ატრიბუტით აღჭურვილი ციხიაგორის ეს მარანი?

მისი სიგრძე 22, სიგანე კი 7,5 მეტრია; კედლები, რომლებიც ალიზთაა ამოყვანილი, ბაზალტეი თიხით შეუღესავთ, მარანი გადახურული ყოფილა ბანით, რომლის ყველასაც მივაგენით გულმოდგინე გაწმენდის შემდეგ.

გოიცების იწვეთს მარნის მთლიანი სახე, ის, რომ არ დაკარგულა მისთვის დამახასიათებელი ერთ ერთ კომპონენტი — ყურძნის წაყნიდან ვიდრე გადახურვის კოჭებამდე.

როგორც ჩვენში ყველა გლეხურ მარანს, ციხიაგორულსაც შესასვლელი სამხრეთიდან აქვს, მარნის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში ძელებისაგან შეკრული 4 კვადრატული მეტრი ფართობის საწნახელია. ძელების შეერთების ადგილები, ყურძნის წვენს რომ არ გამოეყოს, ხეზითაა შეღესილი (სულხან-საბას განმარტებით ხიზა ნაკრისა და თხის ქონისაგან შემზადებული საგოზაეი).

საწნახელის გვერდით ყურძნით სავსე ჭურჭლის (გოდრის) დასადგმელი ბაქანია. საწნახელის წინ, მიწაში ჩადგმული 250-ლიტრიანი თიღარი, რომელშიც გროვდებოდა საწნახელში დაწურული წვენი, იქიდან კი კოკებით ქვევრებში გადაქონდათ.

მარნის დასარნენ ფართობზე წითელი საღებავით მოხატული 48 სხვადასხვა ზომის დიდ-პატარა ქვევრია ექვსრიგად ჩამარხული; სარქველებად, თურმე, ბრტყელ კრამიტებს იყენებდნენ. ისინი თიხითაა გადალესილი და ბეჭდით დაბეჭდილი. როგორც ჩანს, მეღვინეობუხეცესს უნებართვოდ რომ არავის მოეხადა.

ახლად აღმოჩენილ მარანში ქვევრების ტევადობა 400-დან 700-ლიტრამდე მერყეობს. გამოდის, ეს ქვევრებში 25 ტონამდე ღვინოს ინახავდნენ.

ამ ერთი გარემოებაცაა გასათვალისწინებელი: ძველი წელთაღრიცხვის შესამე საუკუნეში, რომლითაც ციხიაგორის სატაძრო კომპლექსი თარიღდება, მიწა ტაძრის საკუთრებად ითვლებოდა, ხოლო მისი დამშეშვეები, თანამდროვე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ — მოჯარადეებად, რომლებიც ტაძარს მიწის მოსავლის მეოთხედს ან მეხუთედს აძლევენდნენ.

— გამოდის, რომ კავთურას ხეობის თეზს, რომელიც ტაძრის მიწებს (ამ შემთხვევაში ვენახს) ამუშავებდა, 60-75 მეტრზე მაღალ ჰქონდა გაშენებული ზარი.

ასეა უნდა ვიფიქროთ. და ეს ყველაფერი ამ პატარა ხეობის ძმლავრ ეკონომიკურ პოტენციალზე მიგვანიშნებს.

ნ. გოგიაშვილი — არქეოლოგიური ექსპედიციის მეცნიერი თანამშრომელი: საწნახელში ყურძნის წიპწების აღმოჩენამ ადგილიძა იმის სურვილი, გვგვეგო, რომელი ჯიშის ვაზს აშენებდნენ ჩვენი წინაპრები. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის რ. რამიშვილის გაანმარტებით, მარნის საწნახელში საფერავი იწურებოდა.

— როგორც მეცნიერ-ბოტანიკოსები მიიჩნევენ, ვაზის ნებისმიერი ჯიშის ხანოლო ჩამოყალიბებას 1000 წელი მაინც სჭირდება. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, კავთურის ხეობაში საფერავის გაკულტურება დაახლოებით ჩვენს წელთაღრიცხვამდე XIII საუკუნეში უნდა დაწყებულიყო.

მზის ღვთაების ტაძარში, ბუნებრივია, უნდა დამინირებდეს ეგრეთ წოდებული წმინდა ეცეცხლი და მასთან დაკავშირებული რიტუალები. მარანში აღმოჩნდა სამი სხვადასხვა ტიპის ეცეცხლის საკურთხეველი. ერთ-ერთ მათგანზე წმინდა ეცეცხლის ნაშთი რელიეფური ჯვრით აღბეჭდილი. თიხის დისკოთი დაფუძარავთ, მეორე საკურთხეველზე ღვთაებისადმი შეწირული თხის რქები დაფენილაყო (გავიხსენოთ, დღესაც იმვიათი როდია ვენახში, რთველზე თხისა და თიკვის დაკვლა).

მესამე საკურთხეველზე ეცეცხლის სამი ჭურჭელი აღმოჩნდა (როგორც ჩანს, აქ სხვა შინაარსის რიტუალები - სრულდებოდა), ხოლო საკურთხეველის ვერდით, მიწაში ჩაფლულ ქვევრში კი — ვაზის ლერწი.

— ეს რაღას უნდა ნიშნავდეს?

ბიორკი ხორავაშვილი — კახეთის მხარეთმოდნეობის მუზეუმის დირექტორი: ქართველი ერის ყოფაში არსებობდა რწმენა: ყოველი მოუსავლიანი წლის შემდეგ, ახალი წლის წინა ღამეს, მეზვერი ვაზს ლერწს აკერიდა და ქვევრში ჩაადებდა, თან ღმერთს ევედრებოდა, მოსავალი წელი მაინც ყოფილიყო მოსავლიანი. ეტყობა, ის წელიწადიც მოუსავლიანი იყო...

* * *

ციხიაგორაზე გათხრები გრძელდება, პარალელურად მიმდინარეობს ძეგლის რეტაღრაცია, ამ საშუშაოებს საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო ახორციელებს. ახლა მთავარია დაჩქარეს სამუშაოები. ტაძრის კომპლექსში შენავალი, თავისი ისტორიული მნიშვნელობით უნიკალურია. წისქვილი და მარანი ხომ ალიზთაა ამოყვანილი და მოახლოებული ზამთარი — ქარი, ყინვა და თოვლ-ბუჯი, უთოოდ, დააზიანებს მას.

გ. ვაშაკიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათებზე: ციხიაგორის „ბზის ტაძარის“ ნგრევა და მარანი.
გ. ცქიტიშვილის ფოტო.

„გაქვავებული ტყის“ საიდუმლო

საინტერესო გეოლოგიური ნაკოცი

როგორც ვიცით, ვაზი უძველესი მეცენარეა. ამაზე მეტყველებს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ვაზის ფოთლების და რქის (ლერწის) ანაბეჭდები, რომლებიც სათუთად შემოგვინახა მესხეთში მდებარე ქისათბის დიატომიტის საბადომ (ცარიცის მსგავსმა თეფრამ ქანებმა).

ქისათბის დიატომიტის საბადო და დიატომიტში ჩართული ვაზის ანაბეჭდები მსოფლიოში მიღებული გეოლოგიური ქრონოლოგიის საფუძველზე 10 მილიონი წლით განსაზღვრება. ვაზის ფოთლების უნიკალური ანაბეჭდების ორიგინალური ნიმუშები ან მათი ფოტორეპროდუქცია დაამშვენებდა ნებისმიერ მუზეუმს.

ბუნებრივია, წლების განმავლობაში თავიანთავად მწიფდებოდა საკითხი მესხეთის მიწაზე უძველესი ვაზის გაბრეცლების არეალის ვაზრდის თაობაზე.

ეჭვაოა, ქისათბის დიატომიტში აღმოჩენილ ვაზს წინამორბედი ეყოლებოდა სამადოს შემოგარენში თუ მისგან შორიახლო. ამ მიმართულებით ძიების ყველა გზას გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში მივყავდით, რომელიც ადიგენის რაიონშია და მდებარეობს ქისათბის დიატომიტის საბადოს დასავლეთით 50 კილომეტრზე.

დიდი ხანია გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, პატარა მდინარე ძინძის ორივე მხარეს სპეციალისტებს ყურადღება მიექცია გეოლოგების მიერ კარგად შესწავლილ ეგრეთ წოდებული გოდერძის წყვეის ვეულკანურ ქანებში შემონახულმა „ბაქვავეულმა ტყემ“.

პალეობოლოგების მიერ შესწავლილი და გამოკვლეულია ფოთლოვანი თუ წიწვოვანი მცენარეები: ფუხის, თელის, წიფლის, ფიჭვის, ნაძვის, სოჭის გაქვავებული ნაშთები. საინტერესოა აგრეთვე სუბტროპიკული მცენარეების: პალმის, ბზის ფოთლების კარგი ანაბეჭდები გოდერძის წყვეის ვეულკანურ ქანებში; ტეფიებში, ტუფქვიშაქვებში და ტუფარეკიზებში. ეს ქანები მიეკუთვნება მესამეული პეროიოდის ქვედა ნაწილს, რომელთა ასაკი 15 მილიონი წლით განისაზღვრება.

ძიებამ გოდერძის უღელტეხილის მიდამოებში, ნასოფლარ ძინძეს სიახლოვეს მიგვიყვანა. აქ ჩვენმა „მასპინძელმა“ გოდერძის წყვეამ ტატად გაბედული „განაცხადი გააკეთა“. გადაგვაშალა ქვის ფული და: „გასაოცარი ნიმუში შემოგვთავაზა არცთუ ისე დიდად გაშიშვლებული ტუფქვიშაქვების კალთაზე. სამხრეთისაკენ დაბრილ გაშიშვლებულ ქანებში შორიდანვე შეინიშნებოდა მოყავითლო ფერის ბეჭედებული ხის საკმაოდ სქელი გადახრილი ნაწილი, რომელიც ერთი შეხედვით გარეგნულად ვაზის ღეროს (ტოტს) უფრო ჩამოჰგავდა, ვიდრე სხვა რომელიმე მცენარის გაქვავებულ ნაწილს, რაც კი აქამდე ნახავნი, ცნობილი და შესწავლილი ყოფილა გოდერძის წყვეაში.

გაქვავებული ხის ამოვებული ნიმუში დიამეტრით 30 სანტიმეტრზე მეტი და ასეთივე სიგრძისაა. როგორც მოსალოდნელი იყო, ნიმუში ამოღებისთანავე რამდენიმე ნაწილად გაიყო სიგრძეზე — მასში არსებული ბზარების გამო... რა გასაოცარია, რომ გაქვავებული ხე „გიგანტური“ ვაზის ღერო (ტოტი) აღმოჩნდა. ნიმუშს ახალ მონაცემებს მაკროსკოპიულად, ესე იგი შეუიარაღებელი თვალით კარგად ეტყობა სხვიერსნერი რადიალური აღნაგობა ცენტრიდან პერიფერიისაკენ. ვაზი ხომ ერთადერთი მეცენარეა, რომელსაც აშკარად გამოხატული წლიური ზრდის რგოლები თვალისთვის ძნელად შესაშჩნევია, სამაგიეროდ რადიალური განაშენებება იმდენად აშკარაა, რომ გადახერხილი ტოტი სხივოსნერ დისკოს მოგვაგონებს. ვაზის აღნაგობის განსაკუთრებული და მკვეთრად განსხვავებული სტრუქტურა კარგად არის ცნობილი ვაზის სპეციალისტებისა და პალეობიოლოგებისათვის.

ნაპოვნმა ნიმუშმა დაადასტურა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 15 მილიონი წლის წინათ არათუ მცირე ზომის, არამედ გიგანტური ვაზიც ხარობდა.

გიგანტური ვაზი არც თანამედროვე პერიოდში აკლია საქართველოს მიწა-წყალს. ისინი მოფენილია ვარძიის, ხერთვისის თუ ბიზაბავის ცნობილი ტერასების შემოგარენში. ანდა, რად ღირს თვით ადიგენის რაიონის სოფელ



დიდ სამადაში მდგარი გიგანტური ვაზი თურქთა ავბედითი ბატონობის მომსწრე და მოწმე, რომლის ასაკი სამ საუკუნეს უახლოვდება.

ერთი მხრივ, ქისათბის დიატომიტის საბადოდან მოპოვებული ვაზის ფოთლების და რქის უნიკალური ანაბეჭდები, რომლებიც 10 მილიონი წლისაა, და, მეორე მხრივ, ახლახან აღმოჩენილი ვაზის ტოტის გაქვავებული ნიმუში გოდერძის წყვეიდან, რომელიც 15 მილიონი წლისა უნდა იყოს, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ვაზის სამშობლო საქართველო უნდა იყოს.

დ. ყანდაშვილი,
გეოლოგი.



სურათებზე: ვაზის ფოთლის ანაბეჭდი დიატომიტში; ვაზის გაქვავებული ტოტი გოდერძის წყვეიდან.
ავტორის ფოტო.

● ჩილე

ორი კაცი მოკლეს და ოცზე მეტი მძიმედ დაჭრეს დედაქალაქში გამართულ მშვიდობიან დემონსტრაციაზე პოლიციისა და სპეციალური შეიარაღებული ძალების ქვეგანაყოფებმა თავდასხმის დროს, როგორც იუწყებიან, იქ ოპოზიციური პარტიებისა და დაჯგუფებათა“ მოწოდებით „ეროვნული პროტესტის დღე“ მოუწყვიათ. სანტიაგოდან მნიშვნელი ცნობებით, პინოჩეტის რეჟიმს მანფესტანტთა გასარეკად გამოუყენაია თავიდან ფეხამდე შეიარაღებული პოლიციისა და ჯარის რაზმები, რომლებმაც „ტრადიციულ“ ხელეტებთან და წყალსატყორცნებთან ერთად ცეცხლსასროლი იარაღიც გამოიყენეს. გიგანტური ეროვნული საჩვენებელი ... ...